

შრომის ხელშეკრულება N C/____-20__

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 გადაწყვეტილებით მონიჭებული ავტორიზაციის საფუძველზე, წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ვალენტინა საყვარელიძის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“), ერთი მხრივ, და _____, პირადი N _____ (შემდგომში „დასაქმებული“), მეორე მხრივ, დებენ შრომის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. დასაქმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინიშნება (მოიწვევა) აკადემიურ არასაშტატო თანამდებობაზე:

(სტრუქტურული ერთეული, თანამდებობა)

1.2. დასაქმებულის სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე უნივერსიტეტის დებულებით. დასაქმებულის სამუშაო აღწერილობაა:

1.3. დასაქმებულის ხელფასი განისაზღვრება მის მიერ შესრულებული სამუშაოს ოდენობის პროპორციულად (საათობრივი ანაზღაურების წესით), კონფიდენციალურია და მოცემულია დანართ N1-ში (განახლებადია ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყების ეტაპისათვის), რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ ანაზღაურების სხვა პირობებზე.

2. შრომის ხელშეკრულება იდება:

- ა) ერთ წლამდე ვადით;
- ბ) 1 სემესტრის ვადით;
- გ) სხვა ვადით _____.

3. მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულებები

3.1. უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ა) შეუქმნას დასაქმებულს შრომის სათანადო პირობები, უზრუნველყოს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უნივერსიტეტი ვალდებულია სწორად მოაწყოს დასაქმებულის შრომა, დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები.
- ბ) გადაუხადოს დასაქმებულს ხელშეკრულების 1.3. პუნქტში გათვალისწინებული ხელფასი, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა ვადაში.
- გ) დამსაქმებელი ვალდებულია არ გაახმაუროს დასაქმებულის პერსონალური მონაცემები, თავად დამსაქმებლის წერილობითი თანხმობის გარეშე.

3.2. დასაქმებული ვალდებულება:

- ა) კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და უნივერსიტეტში დადგენილი ეთიკური ნორმების დაცვით შეასრულოს სამსახურეობრივი ფუნქციები.
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, დებულება და შინაგანაწესი (თჰუ შინაგანაწესი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია), იმოქმედოს უნივერსიტეტის მისიაში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, უნივერსიტეტის რეპუტაციისა და იმიჯის შეუღახავად. დასაქმებული ვალდებულია დაიცვას შრომის დისციპლინა, შეასრულოს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციული თანამდებობის პირების დავალებები და იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის შიდა აქტებით;
- გ) იზრუნოს მისთვის მინდობილი მატერიალურ ფასეულობათა და ქონების დაცვაზე.
- დ) დაიცვას საიდუმლო და სხვა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. დასაქმებული ვალდებულია არ გაახმაუროს მისთვის სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას მინდობილი ინფორმაცია/მონაცემები;
- ე) დაიცვას წინამდებარე შრომის ხელშეკრულების სხვა პირობები.

4. მხარეთა უფლებები:

მხარეები სარგებლობენ საქართველოს შრომისა და განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე უნივერსიტეტის შიდა აქტებით მათთვის მინიჭებული ყველა უფლებითა და სარგებლით.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტა:

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის:

- ა) ხელმოწერის დღიდან;
- ბ) _____ – დან;
- გ) _____ (გარემოების დადგომიდან);

5.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს საქართველოს შრომისა და უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე უნივერსიტეტის შიდა აქტებითა და ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით;

6. სამუშაო დრო:

- 6.1. სამუშაო დღეებია კვირის ყველა დღე კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.
- 6.2. სამუშაო დღეები და საათები განისაზღვრება ამ ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით, რაც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია; სამუშაო დღეები და სამუშაო საათები (აკადემიური დატვირთვა) მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართ N1-ში.

7. დასვენების დრო და შვებულება:

- 7.1. დასაქმებულს კვებისა და დასვენებისთვის ეძლევა შესვენება ერთი სრული სამუშაო დღის განმავლობაში (8 საათი) 60 წუთის ხანგრძლივობით; დასაქმებულს შეუძლია შესვენება გამოიყენოს თავისი ნებასურვილის მიხედვით. ამ ხნის განმავლობაში მას ეძლევა სამუშაოს შესრულების ადგილიდან წასვლის უფლება;
- 7.2. დასაქმებული სარგებლობს საქართველოს შრომის კოდექსით გარანტირებული ანაზღაურებადი ყოველწლიური 24 დღიანი (სამუშაო) შვებულებით, თუ ის დასაქმებულია დამსაქმებელთან არანაკლებ 11 თვისა უწყვეტად;

7.3. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა:

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის უნივერსიტეტი მოქმედებს უნივერსიტეტის შინაგანანწესით დადგენილი პროცედურების მიხედვით და უფლებამოსილია გამოიყენოს შინაგანანწესით განსაზღვრული დისციპლინური სანქციები.

9. დავები:

მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10. დასკვნითი დებულება:

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ინახება უნივერსიტეტში, მეორე – დასაქმებულთან. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

11.1. დამსაქმებელი:

11.2. დასაქმებული _____

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი,

პირადი ნომერი _____

ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #31

რექტორი

ვალენტინა საყვარელიძე _____

ბ.ა.